

რეზიუმე

გამომდინარე იმ დიდი უბედურებიდან, რაც საზოგადოებისათვის მოაქვს აგრესიას გასაგებია ფსიქოლოგების დიდი ინტერესი საკითხისადმი შეიძლება თუ არა აგრესიის არიდება? თუ განწირულები ვართ ძალადობისა და სიმკაცრის უსასრულო ციკლის გამეორებისათვის, სანამ კაცობრიობა არ შეწყვეტს არსებობას? არადა, დღეს, მსოფლიოში ადამიანის ხელთ არსებული აკუმულირებული ენერგიის რაოდენობა ამის რეალურ შესაძლებლობას იძლევა. ყოველივე ეს და ის დიდი დისკომფორტი, რომელსაც აგრესია უქმნის ადამიანებს ყოველდღიურ ცხოვრებაში აშკარად მიუთითებს ადამიანური აგრესიის კონტროლის და არიდების უდიდეს მნიშვნელობაზე.

მართალია, არსებობს პესიმისტური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, მაგრამ სოციალური ფსიქოლოგების უმრავლესობა იქითკენ იხრება, რომ აგრესიის არიდება და კონტროლი შესაძლებელია. მიაჩნიათ, რომ სოციალურ ფსიქოლოგიას აქვს ეფექტური ტექნიკა და სტრატეგიები, რომელთა სათანადოდ გამოყენება სასურველ შედეგებს მოგვცემს.

საკვანძო სიტყვები: აგრესია, ალძვრის დონე, ძალადობა, ინტერპერსონალური ურთიერთობები, აგრესიული ქცევა.

Summary

According to the great disaster, which is caused by aggression for the society, it is evident that psychologists express huge interest toward to the issue, if it possible to avoid the aggression?

Or we are predestined to repeat the infinite cycle of violence and severity before humanity does not stop existence? Though, nowadays the number of human accumulated energy all over the world gives a real possibility of the fact, all the mentioned and the huge discomfort, which are caused by the aggression in a daily routine life indicates to the meaning of control and avidness of human aggression, it is true that there exists the pessimistic attitude toward to this issue, but according to the most social psychologists it is possible to avoid and control the aggression, they think that social psychology has effective technics and strategies, the proper use of which leads us to the desirable result.

ფსიქოლოგიაში არსებობს მოსაზრება, რომ ალძვრის დონის ამაღლება იწვევს მიმდინარე ქცევის გაძლიერებას. ანუ, როცა ინდივიდი ფიზიოლოგიურად აღძრულია, მისი მიმდინარე რეაქციის ენ-

ერგიას გაზრდის ტენდენცია აქვს. დგება საკითხი, ალძვრის დონის ამაღლებას აქვს თუ არა იგივე ეფექტი აგრესიის მიმართ? კვლევები მიუთითებენ რომ აქვს. აღმოჩნდა, რომ ფიზიოლოგიური ალძვრა მომდინარე ისეთი განსხვავებული წყაროებიდან როგორცაა კონკრეტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა, ფიზიკური დატვირთვა, თუნდაც გარკვეული ტიპის მუსიკა ხელს უწყობს აგრესიის დონის ამაღლებას. ერთერთი ახსნა ამ ეფექტისა, რომელიც მიღებულია სოციალური ფსიქოლოგების მიერ ცნობილია როგორც აგრესიის ტრანსფერის თეორია (ზილმენნი). თეორია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ფიზიოლოგიური ალძვრა ვრცელდება დროში. შედეგად ალძვრის გარკვეული ნაწილი შიძლება დროში გამძლე აღმოჩნდეს, როცა ინდივიდი ერთი სიტუაციიდან მეორეში გადადის. მაგ., სტუდენტი, რომელიც აღძრულია მისი აზრით, გამოცდაზე ნაწილობრივ მარცხით, შიძლება გააგრძელოს მსუბუქად აღძრულად ყოფნა რამდენიმე წუთის შემდეგაც, როცა ის ურთიერთქმედებას იწყებს მეგობრებთან ან ნაცნობებთან. ასეთმა ნარჩენმა ალძვრამ შეიძლება გამოიწვიოს მისი შემდგომი ემოციონალური განცდების გაძლიერება, თანაც ისეთი განცდებისა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ალძვრის საწყის მიზეზთან. ასე მაგ., თუ მეგობარი მის მიმართ გააკეთებს შენიშვნას, მან შეიძლება ამ პროვოკაციაზე ირეაგიროს უფრო მწვავედ, ვიდრე მისი რეაქცია იქნებოდა თუ არ იარსებებდა ნარჩენი, ახალ სიტუაციაში გადატანილი ალძვრა. აგზნების ტრანსფერის თეორია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ასეთ ფაქტს აქვს ადგილი, როცა ინდივიდი არ აცნობიერებს ნარჩენ ალძვრას, ან როცა ინდივიდი ალძვრას, ანმყო სიტუაციაში მიმდინარე მოვლენებს მიაწერს. ამრიგად, ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში, სტუდენტი, მოსალოდნელი იქნება, რომ უფრო მწვავედ ირეაგირებს მეგობრის შენიშვნაზე, თუ ის არ გააცნობიერებს იმ ალძვრას, რომელიც წინა სიტუაციიდან მოდის და თუ ის მის ემოციონალურ რეაქციას მეგობრის შენიშვნას მიაწერს. თუ სტუდენტი გააცნობიერებს, რომ მის ალძვრის ნაწილი წინა სიტუაციიდან მომდინარეობს, ის ნაკლებ აგრესიულად ირეაგირებს მეგობრის პროვოკაციაზე.

სექსუალური ალძვრა და აგრესია. თუ ალძვრა, რომელიც მომდინარეობს წყაროდან, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს აგრესიასთან (ფიზიკური ვარჯიში, კონკურენცია), ზრდის აგრესიის დონეს, ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ სექსუალურ ალძვრასაც ალძვრასაც იგივე ეფექტი იქნება? ხშირად სექსუალურ აღძვრას და აგრესიულობას ერთმანეთთან კავშირში განიხილავენ. მაგ., ფროიდი ვარაუდობს, რომ სურვილი ატკინო სხვას ან მიიღო ტკივი-

ლი სხვისგან სექსუალური ურთიერთობის ნორმალური მდგომარეობაა. მფრომი თვლის, რომ ნებისმიერი ძლიერი ემოცია - ატკინო სხვას ან სხვისგან ტკივილის მიღების სურვილის ჩათვლით - შეიძლება შერეული იყოს სექსუალურ სურვილთან და ა. შ. როგორც ვხედავთ, ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ, მართლაც, არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი სექსუალურ აღძვრასა და აგრესიას შორის, რამდენადაა სწორი ეს მოსაზრება? ზოგიერთი კვლევითი მონაცემები მიუთითებენ, რომ ეს მართლაც ასეა.

კვლევები აჩვენებენ, რომ სექსუალური აღძვრის სუსტი დონე, როგორიცაა აღძვრა გამოწვეული სანინალმდეგო სქესის მიმზიდველი წევრის შიშველი ან ნახევრად შიშველი სურათის ექსპოზიცია, ამცირებს აგრესიას იმ ინდივიდის მიმართ, რომელიც ახდენს პროვოცირებას. ამასთან, აღმოჩნდა, რომ სექსუალური აღძვრის მაღალი დონე, გამოწვეული ეროტიკული პასაჟის კითხვით ან აშკარა სასიყვარულო სცენის ყურებით, ფაქტიურად ზრდის აგრესიის დონეს. ამრიგად, სექსუალურ აღძვრასა და ღია აგრესიას შორის ურთიერთობა არასწორხაზოვანი აღმოჩნდა. სექსუალური აღძვრის სუსტი დონე ამცირებს აგრესიულობას ხოლო აღძვრის მაღალი დონე აგრესიას ზრდის. ზილმან-მა ამ დამოკიდებულების ასახსნელად შემოგვთავაზა ე. წ. ორკომპონენტური მოდელი (ზილმან, 1984).

ამ მოდელის თანახმად, ეროტიკული სტიმულის ექსპოზიცია იძლევა ორ ეფექტს. პირველი, ის ინდივიდში ზრდის აღძვრის დონეს და მეორე, ეროტიკული სტიმული გავლენას ახდენს ინდივიდის მიმდინარე აფექტურ მდგომარეობაზე მის პოზიტიურ ან ნეგატიურ გრძნობებზე. სექსუალურ აღძვრა ხელს უწყობს თუ შეაკავებს აგრესიას დამოკიდებულია ამ ეფექტის ნიმუშზე. რადგან სუსტი ეროტიკული სტიმული წარმოშობს აღძვრის სუსტ დონეს და რადგან ამ დროს ადამიანების უმეტესობა განიცდის სიამოვნებას, არ არის გასაოცარი, რომ ამ დროს ადამიანს აქვს ტენდენცია შეამციროს აგრესია. ამის სანინალმდეგოდ, ეროტიკის უფრო გამოკვეთილი ფორმა წარმოშობს აღძვრის უფრო მაღალ დონეს, განეცილებულს ნეგატიურ გრძნობასთან. შედეგად ამ სახის ეროტიკამ შეიძლება გაზარდოს აგრესია (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა არ ეთანხმება მოვლენის ასეთ ახსნას).

ამრიგად, მიუთითებენ, რომ, მართლაც, არსებობს კავშირი სექსუალურ აღძვრასა და აგრესიას შორის. მაგრამ, მიუთითებენ, რომ ამ ურთიერთობის ბუნება უფრო რთულია, ვიდრე ამაზე მიუთითებს აქ წარმოდგენილი ორ ფაქტორიანი მოდელი.

მჭიდრო ინტერპერსონალურ ურთიერთობაში როგორიცაა ოჯახი, მშობელი შვილის ურთიერთობა მეგობრებს შორის ურთიერთობა, რომელიც ჩვეულებრივ ღრმა მონონებით და სასიყვარულო ურთიერთობაზეა აგებული - საღი აზრი უშვებს, რომ ძალმომრეობას იშვიათად უნდა ჰქონდეს ადგილი. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი გვარწმუნებს, რომ საღი აზრის ასეთი დასკვნა მცდარია. თანაც, როგორც

მიუთითებენ საშიშად მცდარი. ორი ათასი ოჯახის, შერჩეული როგორც შეერთებული შტატების პოპულაციის რეპრეზენტაციულები, შეისწავლის შედეგად მკვლევარები ასკვნიან, რომ ძალადობა არის ოჯახის ცხოვრების ინტეგრალური ნაწილი. სტატისტიკა ადასტურებს ამ ფაქტს. პირველ რიგში, მიუთითებენ ცოლ-ქმარს შორის არსებულ აგრესიაზე. კითხვაზე, გამოუყენებიათ თუ არა მოცემული რვა ნიმუშიდან რომელიმე თავის მეუღლის მიმართ ბოლო წლების განმავლობაში, მონაწილეთა 16 პროცენტი პასუხობს „დაიხ“, ე. ი. გამოუყენებიათ. ძალადობის რვა ნიმუში იყო შემდეგი:

1. მეუღლეს ესროლა რაღაცა;
2. ხელი კრა;
3. გაარტყა;
4. ფეხი კრა, მუშტით ცემა, უკბინა;
5. ცემა საგნით;
6. მაგრა ცემა;
7. დაემუქრა იარაღით ან დანით;
8. იარაღი ან დანა გამოიყენა.

შედეგებში საკმაოდ მაღალი პროცენტით დაფიქსირდა აგრესიული ქცევის შემდეგი ფორმები: ხელი კრა, გაარტყა, ცემა საგნით. საინტერესოა, რომ ძალიან ცოტა იყო განსხვავება მამაკაცებსა და ქალებს შორის ამ სახის აგრესიული ქცევის გამოვლინებაში. ამასთან აღმოჩნდა, რომ უფრო ქალები აღნიშნავდნენ, რომ მეუღლეს ესროლა ან გაარტყა საგანი; ქმრები კი უფრო ხელის კვრას და გარტყმას აღნიშნავენ. ერთი სიტყვით, მონაცემები მხარს უჭერენ მოსაზრებას, რომ ბევრისთვის ქორწინების ლიცენზია (მონმობა) არის „ცემის ლიცენზია“.

რა თქმა უნდა, რომ ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობაში ადგილი აქვს ძალადობას, შემაშფოთებელია. მაგრამ, უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მშობლები ხშირად თავიანთ გაშმაგებას წარმართავენ შვილებზე, რომლებსაც ნაკლებად შეუძლიათ თავის დაცვა. სტრასუსი და მისი კოლეგების მონაცემები მიუთითებენ, რომ მშობლების უმრავლესობა (სამი მეოთხედი) აღნიშნავს შვილების მიმართ აგრესიის ამა თუ იმ ფორმის გამოყენებას. თანაც, თავდასხმა თავისი ბუნებით არ იყო სუსტი. თავიანთი კვლევითი მონაცემების ანალიზის საფუძველზე სტრასუსი და მისი კოლეგები აკეთებენ განზოგადებას, რომ დაახლოებით 2,3 მილიონი ბიჭუნა ბავშვობაში ნაცემი იქნა მშობლების მიერ და ერთ მილიონზე მეტ ბავშვს მშობელი დაემუქრა დანით ან იარაღით. შემაშფოთებელი სტატისტიკაა.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ძალადობის შემაშფოთებელი ფაქტები, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, არ შემოიფარგლება ოჯახით. ძალადობა ხშირია მეგობრებსა და ნაცნობებს შორის, ეს კარგად გამოჩნდა კოლეჯის სტუდენტების გამოკვლევებში.

იკვლიეს ხუთი კოლეჯის სტუდენტები. მათ სთხოვეს ეთქვათ მიუღიათ თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი ძალადობის რვა ფორმიდან რომელიმე ან თვითონ გამოუყენებიათ თუ არა რომელიმე მათგანი თავიანთი ტოლების მიმართ. ორივე სქესის სტუ-

დენტოა 50 პროცენტზე მეტი მიუთითებდა, რომ ჩამოთვლილი რვა სახის ძალადობიდან ერთი ან მეტი გამოუყენებია თვითონ. ამასთან, უფრო მამაკაცები ვიდრე გოგონები (56,9 პროცენტი წინააღმდეგ 47,8 პროცენტისა) მიუთითებდნენ, რომ მათზე განხორციელდა ასეთი სახის ძალადობა. სქესს შორის განსხვავება მხოლოდ ერთ საკითხში იყო მნიშვნელოვანი. ბიჭები მიუთითებდნენ უფრო, რომ ჩაუდენიათ სექსუალური ძალადობა, ვიდრე გოგონები.

განსხვავება დიდი იყო სიტუაციაში, სადაც აგრესია ჩანდა, რომ იყო მოთხოვნილი, ვიდრე სპონტანურად არჩეული. გარდა ამისა, განსხვავება იყო აგრესიისადმი ატტიტუდებში. გარდა ამისა, მამაკაცები ნაკლებ დანაშაულის გრძნობაზე და ენზაიტზე მიუთითებდნენ აგრესიული ქცევის განხორციელებისათვის, ვიდრე ქალები.

ქალები უფრო მიუთითებდნენ შესაძლებლობაზე, რომ სხვების წინააღმდეგ აგრესია შეიძლება შეიცავდეს თავიანთი თავის წინააღმდეგ მუქარას (რომ აგრესიის მსხვერპლი აირჩევს სამაგიეროს გადახდას). ამასთან, მონაცემების ანალიზი აჩვენებდა, რომ ორივე სქესი შედარებით მეტ აგრესიას ამჟღავნებდა მამაკაცების წინააღმდეგ, ვიდრე ქალების წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, მამაკაცები და ქალები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთ სურვილებში ინტერპერსონალურ ურთიერთობებს მოუარონ აგრესიით. დგება საკითხი, რაში უნდა ვეძებოთ ამ განსხვავებით ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა, რა თქმა უნდა, შემაშფოთებელია, მაგრამ ის არაფერს ამბობს თუ რატომაა ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენა ოჯახში ან სხვა ინტიმურ ურთიერთობებში. ალბათ, ამის მიზეზი უნდა იყოს კომპლექსური, და მოიცავს მრავალ ფაქტორს. შესაძლოა იმის ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ხშირად ძალადობა ბაღებს ძალადობას. ანუ ინდივიდი, რომელიც ხშირად გამხდარა მშობლებს შორის ძალადობის მოწმე უფრო სააღბათოა გახდეს მოძალადე ქმარი ან ცოლი, ვიდრე ის, რომელსაც გამოცდილებაში არ ქონია ასეთი ძალადობა. ან ბავშვი, რომელიც ბავშვობაში ფიზიკურად ისჯებოდა ხშირად, მეტი ალბათობაა, რომ უფრო შეურაცხყოფს საკუთარ შვილებს, ვიდრე ის, ვისაც არ განუცდია ფიზიკური დასჯა. აღმოჩნდა, რომ ძალადობის ოჯახური ტრადიცია გადაეცემა თაობიდან თაობაზე.

ძალადობის მეორე მიზეზად ჩათვლილია სტრესი. მიუთითებენ, რომ ოჯახები, რომლებიც განიცდიან სტრესის მაღალ დონეს, ექნება ტენდენცია ჰქონდეთ ძალადობის მეტი სცენები, ვიდრე ოჯახებს, რომლებიც საბედნიეროდ ახერხებენ აიცილონ ასეთი პირობები. ამ მიზეზთანაა დაკავშირებული ოჯახის ზომა (რაც უფრო დიდია ოჯახში ბავშვების რაოდენობა, მით უფრო დიდია ძალადობის ალბათობა), ეკონომიკური პირობები (სამუშაოს დაკარგვა, ვალის გადახდის უუნარობა), ახალი მეგობრის სიკვდილი, არა სასურველი ორსულობა, სიძნელები კანონთან ვარაუდობენ, რომ, რაც უფრო განიცდის ინდივიდი

ამ ტიპის სტრესული მოვლენებს, მით უფრო დიდია ოჯახში ძალადობის ალბათობა.

მესამე მიზეზი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ოჯახის ძალადობასთან არის ოჯახში ძალაუფლების განაწილება და ის თუ როგორ ხდება ოჯახში გადაწყვეტილების მიღება. ოჯახში, სადაც ძალაუფლება განაწილებულია ცოლ-ქმარს შორის და, რომელშიც გადაწყვეტილება დემოკრატიულად (წევრებს შორის შეთანხმების შედეგად) მიიღება, ნაკლებად განიცდიან ძალადობის განსხვავებულ ფორმებს, ვიდრე ოჯახში, სადაც ძალაუფლება კონცენტრირებულია ერთ-ერთის (ქმრის ან ცოლის) ხელში და ის, ვინც ფლობს ძალაუფლებას, ის იღებს კიდევ უმეტეს გადაწყვეტილებას. ცხადია, ერთად ცხოვრების პირობებში თუ არ მოხდა ძალაუფლების განაწილება და რომელიმე ვერ იღებს მონაწილეობას გადაწყვეტილებაში, ეს შეიძლება გახდეს ძალადობის განსხვავებული ფორმების საფუძველი.

ამრიგად, მჭიდრო ინტერპერსონალური ურთიერთობებში ძალადობა განსხვავებული მიზეზებიდან მომდინარეობს. მიუთითებენ, რომ საბედნიეროდ, უმრავლესობა მათგანი, თუ არა ყველა, ღიაა მოდიფიკაციის ამა თუ იმ ფორმისათვის. ამდენი ციკლი ასეთი აგრესიისა შეიძლება განყვეტილ იქნას, თუმცა, მხოლოდ კონკრეტული საფეხურებით. ამგვარად, მოსაზრება, რომ ადამიანები, რომლებსაც უყვართ ერთმანეთი იშვიათად იქნებიან ჩაბმული ძალადობაში, არის სერიოზული შეცდომა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბალიაშვილი მარინა, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2010;
2. ნადირაშვილი შოთა, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი;
3. მაიერსი დევიდი, სოციალური ფსიქოლოგია, 2008;
4. რიჩარდ გერგი, ფილიპ ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება ქართული თარგმანი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თსუ, 2009;
5. თეზელაშვილი ს., ფსიქოლოგიური ენციკლოპედია, თბილისი, 2007;
6. ელიოტ არონსონი, სოციალურ ცხოველი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოცემა, თბილისი, 2014.
7. https://sangu.ge/images/2015/1_anamargishvili.pdf
8. <http://intermedia.ge>